

ყოველკვირეული განახლება
მთავარი ეკონომისტისგან



თიბისი კაპიტალი

ყოველკვირეული განახლება მთავარი ეკონომისტისგან

ოთარ ნადარია
მთავარი ეკონომისტი
თიბისი ჯგუფი

ანა მუავანაძე
უფროსი
მაკრო-ფინანსური ანალიზის განყოფილება
თიბისი ბანკი

ცოტნე მარღია
ანალიტიკოსი

www.tbccapital.ge


ჩვენი მოლოდინების შესაბამისად, წინა კვირაში ლარმა პოზიციები მცირედით დათმო. გამყარების ფაქტორების მხრივ, აღსანიშნავია რომ იანვარში არარეზიდენტების მხრიდან ლარის სახელწიფო ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის ზრდა არ დაფიქსირდა, რადგანაც ამ ტიპის ინვესტორების მფლობელობაში არსებული პორტფელის ოდენობა იგივე დარჩა, ხვედრითი წილი კი შემცირდა.

საერთაშორისო განვითარების მხრივ, საყურადღებოა, რომ რეგიონის ქვეყნების სუვერენული რისკ პრემია კვლავ შემცირდა, რაც როგორც ჩანს, ერთი მხრივ, უკრაინაში საომარი კონფლიქტის შედარებით დაბალ ალბათობაზე და მეორე მხრივ, თურქეთის მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიმართ გარკვეულწილად გაუმჯობესებულ შეფასებაზე მიუთითობს. თუმცა, კვირის ბოლოს უკრაინის გარშემო დაძაბულობა კვლავ გაიზარდა.

დოლარის მხრივ, აშშ-ს იანვრის ინფლაცია მოსალოდნელზე მაღალი დაფიქსირდა. შესაბამისად, ამერიკის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განაკვეთის უფრო მეტად აწვეის მოლოდინებიც გაიზარდა და დოლარიც მცირედით გამყარდა. მართლაც, საქართველოსაგან განსხვავებით, როდესაც ინფლაციის ყოველთვიური მაჩვენებლები შემცირდა, ამერიკაში ამ ინდიკატორითაც ინფლაციის მაღალი ზენოლა იკვეთება.


4 თებერვალს, “Fitch”-მა საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB ნიშნულზე, სტაბილური მოლოდინით დაადასტურა. ძირითადი მაკრო მაჩვენებლების პროგნოზები თიბისი კაპიტალის დეკემბრის მოლოდინებთან მთლიანობაში შესაბამისია, თუმცა, სავარაუდოდ, ლარში საპროცენტო განაკვეთის უფრო ნაკლები შემცირებით.

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (პარიოდის ბოლო, მილიონი ლარი)




წყარო: სებ

რეგიონის აშშ დოლარში ევროზონდებისა და აშშ-ის 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების განაკვეთის შორის სხვაობა (პპ)




წყარო: Bloomberg

სფი ინფლაცია აშშ-სა და საქართველოში (%)




წყარო: FRED, საქსტატი, თიბისი კაპიტალი

გაცვლითი კურსები




წყარო: სებ

არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული ლარის სახაზინო ფას. ქალაქების წილი და აშშ-სა და სუბარტოპოლს 10 წლიანი სახაზინო ფას. ქალაქების განაკვეთი (%)



წყარო: სებ, FRED

საბ-ის საერთაშორისო რეზერვები და სავალუტო ინტერვენციები (მილიონი აშშ დოლარი)



შენიშვნა: დეკ-21-ის წმინდა რეზერვების დონე გაანგარიშებულია სებ-სა და კომერციულ ბანკებს შორის სავალუტო სვოპ ოპერაციებისა და ფინანსთა სამინისტროს სსფ-ისადმი ვალდებულების დაშვებით. ფაქტობრივი მონაცემები და ასევე იანვარში სებ-ის აუქციონის გარეშე შესაძლო განხორციელებული ინტერვენციების შესახებ ინფორმაცია თვის ბოლოს გამოქვეყნდება.
*უარყოფითი მნიშვნელობა შეესაბამება უცხოური ვალუტის გაყიდვას.
წყარო: სებ, ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

მიმდინარე კვირის ანონსი:

- 14 თებ – საგარეო ვაჭრობის ექსპრეს მონაცემები, იანვარი 2022;
- 15 თებ – ფულადი გზავნილები, იანვარი 2022;
- 15 თებ – საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი, იანვარი 2022;
- 18 თებ – სამუშაო ძალის მაჩვენებლები, 2021 წლის მე-4.



თბილისი კაპიტალი